

ახალი ნაპალი

«საქ. საზოგადოებრივი სინდიკატის»
მაშველთა კავშირის» ორგანო

კვირა 13, აპრილი

№ 20

1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირბში ერთხელ — კვირბობით

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გ ა ზ ე თ

„ახალი ნაპალი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირბში ერთხელ

კვირბობით

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სახალის ქ. № 5,
ქართული კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში.
იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დღის 9—2 საათამდე და
საღამოს 6—8-დგნ.

აპრილის 11-ს მცირე ავამთოფობის შედეგად გარდა-
ცხდა ჩვენი ამხანაგი

დიანოზ ბესარიონის-ძე გიგნაველიძე

რასაც აუწყებს ამხანაგებს ნაცნობებს და მეგობრებს.

ტფ. სარ. სინ. მაშ. კავ. კომიტეტი.

ტფილისი აპრილის 13 1919 წ.

იმ ქულე ცნობებიდანაც
ქიდილი. კი, რომლებიც ევრო-
პის სხვადასხვა კუთხიდან
მოგვდის. ცხადად ვრწმუნდებით, რომ
ქიდილი ორ-ძალას, იმპერიალიზმისა
და რევოლუციის შორის თანდათან
ძლიერდება და გარკვეულ სახეს ღე-
ბულობს. ზოგიერთი ქვეყნის გამარჯ-
ვებით დამთავრალი პირისსილიანი
ბურჟუაზია ცდილობს დამატარებელ
ვაქანალიაში ჩაითრიოს შრომის
შვილნიც და თავიდან აიცილნოს
უდიდესი სამჯაფროს უკანასკნელი
სასიკვდილო განაჩენი. ბოლშევიკებს
და ლეღავს ძველი ევროპა, შეიძლე-
ბა ითქვას საერთო ფერხულში ებმის
ქალაქი კაცობრიობა. დიდი სურათი
საერთაშორისო გამთავისუფლებელი
მოძრაობისა, რომელსაც გარკვეული
მიზანი აქვს დასახული. ერთხელ და
სამუდამოდ დაიმსხვრეს ყოველგვარი
მონობის ბორკილები და კაცობრიო-
ბას დაუბრუნდეს „ტყვედ ქმნილი“
თავისუფლება.

ქიდილი სამკვდრო-სასიცოცხლო
ბრძოლის ხასიათს იღებს და ეს მოვ-
ლენა თავისებურ ელფერს აძლევს იმ
ბუმბერაზ ხანას, რომელსაც ჩვენ ამ
ჟამად განვიცდით. ახლოვდება ეპი-
დიდი ტრაგედიის დასასრულისა... და
რაც უფრო გვიანლოვდება ეს გადაწყ-
ვეტი მომენტი, მით უფრო იზრდება
რახმები რევოლუციის საწინააღდე-
გო ძალებსა: თვით იმ კონფერენ-
ციის სულის ჩამდგმელნი, ევ-
როპის მოწინავე ქვეყნის ბურჟუა-
ზიული განწყობილების ძლიერი წარ-
მომადგენელნი ნათლად რწმუნდებიან,
რომ მათ მიერ ადგენილი „დირიჟიო-
რის ჯოხი“ უძღლურია თავის კალა-
პოტში ჩაყენოს ამობოჭრებული

ცხოვრება; რომ მათ გვერდით გა-
საოცარის სისწრაფით იზრდება ძა-
ლა ძველის დამთრუგებელი და ამავე
დროს ახლის შემოქმედი. ეპი არ
არის, რომ მხოლოდ ამ ძალას შეუძ-
ლია დაამყაროს დღეს სანუკვარი
რწმენა იმათი, ვისაც სწამს კაცობ-
რიობის ბრწყინვალე მომავალი.

მაგრამ ამ მოძრაობაში არის ელე-
მენტი, რომელსაც შეუძლია გამარ-
ჯების სასწორი სხვაგვარად გადახა-
როს. ეს არის ის სტიქიური სახე ზო-
გიერთი ქვეყნის მოძრაობისა, რომე-
ლსაც გამთავისუფლებელ მოძრაობა
თა ისტორიაში მუდამ უთამაშნა ბრმა
რღვევისა და მხოლოდ განადგურების
როლი.

მუშათა კლასმა, ავანგარდმა ბუმბე-
რაზ რევოლუციისამ, დიდი ყურად-
ღება უნდა მიაქციოს ამ გარემო-
ბას და თავგანწირულად უნდა შეი-
ტანოს მოძრაობაში მეტი სიმწყრო-
ბე, შეგნება და ორგანიზაციული
მთლიანობა...

ამას ისახავს სხვათა შორის თვის
უახლეს მიზნად ჩვენში დაარსებული
ახალი სინდიკალისტური ჯგუფი. მო-
მავალი გვიჩვენებს შესძლებს თუ არა
იგი ამ მოვალეობის შესრულებას,
ხოლო ერთი რამ კი გადაჭრით შეი-
ძლება ითქვას: მას დიდი სურვილი
აქვს ამ მიზნის განხორციელებისა.
დღეს ქიდილია ორ გარკვეულ
ძალას შორის და ცოა არ უნდა და-
ვიშუროთ, რომ გამარჯვება ამალო-
რძინებელ ძალას ხედეს...

თერმეტ ა-
რილს გაიხსნა
ამიერ-კავკასი
ის მუშათა
ყრილობა მუ-
შათა საპროფესიო ორგანიზაციას,
ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა

ჭკონდა, მუშათა მოძრაობისათვის და
სოციალიზმისათვის. ამ ნიადაგზე იდ-
გა პირველი ინტერნაციონალი, რომ-
ლის ლოზუნგი იყო მუშათა განთა-
ვისუფლება „თვით მუშათი საქმეა“. სი-
მაოცდა თერთმეტი წლიდან, მუშა-
თა პირველ ინტერნაციონალს და მის
ლოზუნგს მარქს-ენგელისის სახით
გაუჩნდა პოლიტიკური მატლი, რო-
მელმაც ღრღნა და საპროფესიო კავ-
შირზე დამყარებული სოციალიზმის
ხე და მისი მთლიანი ზრდა დაეშვა
ძირს ოთხმოცდა თორმეტ წელს.
პოლიტიკანთა ზეგავლენით დაგმო-
ბილ იქნა ის მუშები, რომლებიც
იღვენ პირველ ინტერნაციონალის
ლოზუნგზე.

მეორე ნაწილმა მუშებისამ თავი
გაყო პოლიტიკურ პარტიების ქსელ-
ში და მას დაუმორჩილა, სოციალიზ-
მის პირველი სკოლა მუშათა კავში-
რი.

ამით შეირყვნა სიწმინდე პირველი
ინტერნაციონალისა და მუშათა სა-
პროფესიო ორგანიზაცია გახდა ბურ-
ჟუაზიის სასარგებლოთ მასთან მორი-
გებისა და ვაჭრობის საგნათ. დაკარ-
გა ყოველგვარი რევოლუციონური
ხასიათი პოლიტიკის ქვეშ მოქცეულმა
მუშათა კავშირმა. ეს ნაკლი სიმა-
ხინჯე მუშათა მოძრაობისა ისე განა-
მტკიცენ მუშათა ერთ ნაწილში პო-
ლიტიკსებმა რომ, დღემდის დიდი
ლოზუნგი სოციალიზმი ჩამოხსნილი
იყო, მუშათა ერთ ნაწილის დრო-
შაზე, მუშათა განთავისუფლება თვით
მუშათა საქმის; მაგიერათ შეიცვალა
მუშათა განთავისუფლება სახელწოდოს
და იქ მოკალთეული დებუტატების
საქმეა...

ასე სწამდა მუშათა ერთ ნაწილს
დღემდის, დღეს სოციალისტურმა
რევოლუციამ გამოაშვარავა სიყალ-
ბე პოლიტიკაზე დამყარებული სო-
ციალისტებისა და გონს მოსული
პროლეტარიატი გერმანიის, უნგრე-
თის, უკრაინის რუსეთის. ებრძვის
პოლიტიკურ მრჩეველებს და საკუთარ
საქმის გაკეთებას საკუთარ თავ-
ზე ღებულობს.

რას იზაშს ამიერ კავკასიის მუშათა
ყრილობა, რა გზას დაადგება ის და
როგორი ასოებით ჩააწერს სოციალი-
ზმის ისტორიაში, მის უზენაეს გა-
მამხატველ საპროფესიო ყრილობის
მოქმედებას.

ოვოც სხვა და სხვა ცნებები-
დან სჩანს, ამ ყრილობას ნამდვილი
მუშათა საქმის მაგიერ თავისი პარტი-
იული და ნაციონალური, ხასიათის
მიცემა სურთ, ზოგიერთ პოლიტიკა-
ნებს თუ ამ გზას გაყვა მუშათა
ყრილობა დიდ დანაშაულს ჩაიდენს
მუშათა ისტორიის წინაშე.

ამ მუშათა ყრილობამ უნდა გაან-
თავისუფლოს საპროფესიო ორგანი-
ზაციები პოლიტიკური ბატონობისა-
გან.

ამ მუშათა ყრილობამ უნდა მოი-
ხადოს თავისი სოციალისტური ვალი

და აღიაროს, განამტკიცოს ერთა
თავისუფლება კავკასიაში.

ამ მუშათა ყრილობამ უნდა სცნოს
დღევანდელი დღის უდიდესი დანი-
შნულება, სოციალიზმისა და საპრო-
ფესიო მუშათა ორგანიზაციებმა რე-
ვოლუციონური გზით უნდა ჩამოა-
თვან საწარმოო იარაღები და გაუძ-
ღვენ წარმოების და ნაწარმოების
მოხმარების მოწესრიგებას.

ჩვენი მთავარი პრინცი- პები

მარქსისტულ ისტორიულ მსოფლ-
მხედველობაზე ლაპარაკი გავეგრ-
ძელდა. ვფიქრობთ ნათქვამიდანაც
წარმოსადგენია, თუ რა თვალსაჩინო
ცვლილება განიცადა შემდეგ განვი-
თარებაში მარქსისტულმა თვალთ-
აზრისმა ისტორიული პროცესის შე-
სახებ.

როგორია ჩვენი აზრი? რას ვფიქ-
რობთ ჩვენ ამ საკითხზე?

რასაკვირველია, აქ ჩვენ ეკონო-
მიური მატერიალიზმის კრიტიკას არ
შეუვდევით. ამას სხვა დროს და სხვა
ადგილას დავუბრუნდებით. ამ ჟამად
ჩვენ გვინტერესებს, მოკლედ განე-
საზღვროთ ჩვენი აზრი.

საზოგადოება ფაქტიურად ჯერ
კიდევ ისტორიის დასაწყისში ძლიერ-
თა ძალადობის გამო კლასებად დაი-
ყო. ამიტომ, რომ მთელი ისტო-
რია ამის შემდეგ მოცულია კლასთა
შორის ბრძოლით, რომელიც წითე-
ლი ხაზით გასდევს კაცობრიობის
ისტორიას. უუძველეს დროს, როდეს-
საც ადამიანთა ერთი მოდგმა მეორეს
წინააღმდეგ ომების წარმოებას იწ-
ყებდა, გამარჯვებულებმა დამარცხე-
ბულებს, იმის მაგიერ რომ იგინი
შეეკამათ, მონობის მძიმე და საზიზ-
ღარი ბორკილები დაადგეს.

ამიერიდან მონა უსულო საგანი იყო
ბატონთა ხელში, რომლის ბედი და
იღბალი სავსებით მის ნება-სურვილ-
ზე იყო დამყარებული. და მაშინაც
კი, როდესაც ძველს საბერძნეთსა და
რომში სწარმოებდა დიდი დემოკრა-
ტიული მოძრაობა, ადამიანის პიროვ-
ნების სრულის თავისუფლებისაკენ
მიმართული, მონა აქაც ინვენტარის
ნაწილი იყო და ინვენტარს აბა რო-
გორ შეეძლო მოეთხოვა მოქალაქის
უფლება! და ისტორია, ადამიანთა
სისხლით დაწერილი ისტორია, აღ-
სავსეა მონათა თავგანწირული ბრძო-
ლის ეპიზოდებით. საკმარისია მოვი-
გონოთ სახელი სპარტაკის, აჯანყე-
ბულ მონათა მეთაურის, რომელმაც
იმ დროის მიხედვით დიდი და მძიმე
მოვალეობა იკისრა: დაეხსნა საზიზ-
ღარი მონობისაგან თავისი თანამო-
მძმენი და თავისუფლების ქვეყნად
გაეყვანა იგი. რასაკვირველია, ასეთი
მაღალი მიზანი თავხედობად ჩაუთვა-
ლეს სპარტაკს და მან თავის მძებთან
ერთად ვაქცაურ ბოძოლაში მოაპოვა
საუკუნო განსვენება.

ასეთი სისხლის მღვრელი შეტაკე-
ბები მთელი საუკუნეებით სწარმოებ-
და; რამდენიმე მოდგმა ადამიანთა
გაწყვეტილ იქნა და განადგურდა
ნაყოფი მრავალი წლის სისხლიანი
შრომისა...
საშუალო საუკუნეებში მოხდა ახა-
ლი ცვლილება: მონობა ბატონ-
ყმობით შეიცვალა.
რამ გამოიწვია ეს ახალი მოვ-
ლენა? მარქსისტები გიპასუხებთ:
იგი ნაყოფია საწარმოო ძალთა განვი-
თარებისა. ჩვენ ვერ ვიტყვით ამას,
ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ ამ მოვლე-
ნას მხოლოდ საწარმოო ძალთა გან-
ვითარებით, პირიქით შეიძლება ითქ-
ვას, რომ მონობის ეპოქის დასას-
რულს ადგილი ჰქონდა არა ტენი-
კურ პროგრესს, არამედ საერთოდ ტე-
ნიკისა და კულტურის დაქვეითებას
და ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს სა-
ერთო დაქვეითება იყო მიზეზი, რო-
მელმაც ბატონები აიძულა მონა
ყმათ შეეცვალათ, რომ მათი შრომა
უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო და
მეტი სარგებლობა მიეღოთ თვის „ნი-
ვან იარაღთაგან“ (instrumenta vo-
calia).
და ყმებიც, როგორც წინეთ მ-
ნები, ადვილათ არ ურიგდებოდნენ
თვის ბედშავს მდგომარეობას და ხში-
რად აფრთხილებდნენ აჯანყების დრო-
შას. სხვა დიდ მოძრაობათა შორის
საკმარისია მოვიგონოთ საფრანგეთის
ეპიკურა 1457 წლისა, უოტ ტაილე-
რის მოძრაობა ინგლისში 1381 წელს
როდესაც მოთმინებიდან გამოსული
გლეხები ცდილობდნენ საზოგადოებრივ
მოძრაობის განადგურებას, და გერ-
მანიაში 1525 წელს დიდი რევოლუ-
ციური მოძრაობა, რომელიც წინა-
მორბედი იყო საფრანგეთის რევო-
ლუციისა და რომელსაც, შეიძლება
ითქვას კომუნისტური რევოლუციის
ხასიათი ჰქონდა. გაბატონებულ კლასს
თანდათან გაუჭირდა, შეეკავებინა
ყმათა უდიდესი მისწრაფება თავი-
სუფლებისადმი, და ამის შედეგი გა-
ხლდათ ბატონყმობის მოსპობა სხვა
და სხვა ქვეყანაში. მაგრამ ახალმა
დრომ ახალ წარმოებასთან ერთად
ახალი სახის მონობა დააწესა. კაპი-
ტალისტურმა ეპოქამ წარმოშვა და-
ქირავებული მუშები, რომელთა შრო-
მის ბატონ პატრონი ეგრედ-წოდე-
ბული მესამე წოდება ბურჟუაზია
გახდა. თუ ეს უკანასკნელი ცხოვრე-
ბის ასპარეზზე გამოსვლისათანავე სა-
მკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით შე-
ება ფეოდალურ არისტოკრატისა და
ამ ბრძოლაში ხშირად პოლიტიკურ
უფლების მოპოვებისათვის მეოთხე წო-
დება-პროლეტარიატი ჩაითრია, უკა-
ნასკნელ ხანებში სავსებით გაითხარა
უბსკრული ამ ორ კლასს შორის და
დღეს ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ,
როდესაც უკვე ვგრძნობთ და ვცნო-
სათ დიდი სოციალისტურ რევოლუ-
ციის მოახლოებას. თუ წინააღმდე-
გ რევოლუციებმა მონა ყმად აქციეს
და ყმა კი ქარხნის მუშად, ახალმა
რევოლუციამ უნდა დაუბრუნოს

